


სალიტერატურო და სამეცნიერო ნახატებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 17 აპრილი, 18 1896 წ. № 17

შინაარსი: ზოგიერთი ფიქრი, (დასასრული); ხომლელისა.—სხვა-და-სხვა ამბავი.—საყურადღებო ამბები.—*** ლექსი, დუტუ მეგრელისა.—მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება (გაგრძელება), ნ. ჟორდანიასი.—ბიბლიოგრაფია მ—ისა.—ცხოვრების სურათები, ლექსი სილოვანისა.—ხუშო (შემდეგი) ვ. ბარნოვისა.—საქველ-მოქმედო საქმე და ქუთაისის მიხაილის ბანკის განცხადება.

## ზოგიერთი ფიქრი

(„ივერია“ №№ 42, და 57. *)

ივერიის“ მეფელეტონე ბ-ნი Plebs-ი, რასაკვირველია, „ლალი“ და „ფირუზი“ არ არის. იმისი როლი მეტათ სადა და ჩვეულებრივია. Plebs-ი ჩვენ წვრილმან საშინაო, ქართველთა ცხოვრების საქმეებს უფრო ეტანება და იმაზე აქვს ატეხილი ყოველ-კვირეული ცხარე „მასლაათი“. უნდა ვთქვათ, რომ იგი გამოცდილი და ოსტატი კალმოსანია, თავისი საკუთარი „მე“ აქვს შემუშავებულო, თუმცა თავისებური და ახირებული თეორიით. მართალია, ეს თეორია სრულიათ სხვა თვალით უყურებს ქართველთა ცხოვრებაში მრავალ-გვარ ცვლილებათა და მოვლინებათა, ვიდრე ჩვენ, პირადათ, მაგრამ ამ თეორიის ანკარიში მაინც უნდა გაეუწიოთ, უყურადღებოთ ვერ დავტოვებთ.

Plebs-ი ჰგოდებს და შეჰბლავის ისტორიის დიდს უსამართლობას („ივერია“ № 1, 1896 წ.), რომელმაც „ძირეულათ შეარყია და სრულიათ დაამხო ქართული ოჯახი“... დ ჩვენი თვალის წინ ხატავს ძველი ოჯახის გულის წარმტაცს იდილიას, სადაც „წევრთა შორის სუფევდა თავისუფლება დ ზნეობრივი კავშირი“.

„იყო დრო—ამბობს იგი—როცა ეს ოჯახიც მტკიცესა და მკვიდრს ბურჯს შეადგენდა ჩვენის ეროვნობისა და ვინაობისასა. სამეფოს ძალა და დიდება ამ ოჯახზე დაფუძნდა და აღმოცენდა. ამიტომაც სახელოვანი ვახტანგ მეფე ქადაგებდა და აფრთხილებდა ქართველობას—დიდი ოჯახი არ ვაიყაროს, მრავალ-წევროვანი სახლი არ დაკნინდესო... დიდ ოჯახს დიდი ძალა და ღონეც მოსდევდა და მიზეზიც აქ არის ბრძენის მეფის რჩევისა. იქნება გეგონოთ, რომ დიდს ოჯახში ადამიანის თავისუფლება შეხუთული იყო. სრულიადაც არა,—იქ, მრავალ-სულოვანს ოჯახში იწვრთნებოდა და ვარჯიშობდა კაცის მოქალაქებრივი ზნე და ბუნება, იქ იზრდებოდა მტკიცე ხასიათი.. საყურადღებოა კიდევ ის ზნეობრივი კავშირი, რომელიც ოჯახის წევრთა შორის სუფევდა. ურთი-ერთის სიყვარული, ერთმანეთის ნდობა და სათნოება—აი, შინაარსი იმ ზნეობრივის კავშირისა“..

*) იხ. „კვალი“ № 16.

Plebs-ი მართალია, როდესაც ამბობს, რომ ჩვენი წარსული ცხოვრება, ზნეობა, ჩვეულება და თვით საჯეელოვანი ვახტანგ მეფის კანონებიც წინააღმდეგი იყო ოჯახის წევრთა გაყოფისა და განცალკევებისა. ვახტანგის კანონება მსაჯულებს ავალებდა, ეხმარათ საშუალება, რომ ოჯახი არ გაყოფილიყო. აქ, ამ პატარა საჟურნალო წერილში, ძნელია ძიება და გამოკვლევა იმ სოციალურ მიზეზებისა, რომელნიც ძველათ ოჯახის წევრთა გაყოფასა და განცალკევებას აბრკოლებდენ. ვიტყვით მხოლოთ, რომ ოჯახის გაყოფა, სხვა მიზეზებსაც რომ თავი დავანებოთ, თვით ხალხისათვის, ყმებისათვის იყო დიდათ მაზარალებელი, დამაბრკოლებელი და, მაშასადამე, მავნებელიც. ქართველი ხალხის შვილს მაშინ კიდეც რომ ეფიქრა ,,საკუთარი სახლის გაჩენაზე“, ის მაინც თავის ფიქრს ვერ განახორციელებდა, რადგან ახლათ გაყოფილს დიდი გადასახადი და ხარჯი დააწვებოდა კისერზე. ახლათ გაყოფილს და მარტო-ხელ კაცს ბატონისათვის გასამყოფლო უნდა მიერთმია, ის პირადი სამსახურიც უნდა გაეწია, რაც გაუყოფელს ოჯახს ემართა და სხვა. და, აბა, გიჟი იქნებოდა იგი, ამდენი ბეგარა და წვალება თავზე დაეტეხა?!..

ყმები გაათავისუფლეს თუ არა, მაშინვე დასახელებული დამაბრკოლებელი მიზეზებიც, ცხადია, მოისპო და გლეხთა შორის ,,ახალი სახლ-კარი და ოჯახობა ისრე მრავლდება, თითქო ქამა სოკოაო!,.“ ესეთი ძირითადი ცვლილება ჩვენს Plebs-ს ნაღველსა და ბრაზსა გვრის და, წარსულით აღფრთოვანებული, აღტაცებული, თვალს მოარიდებს აწინდელ ოჯახს და ზიზღით განშორდება ამგვარი სიტყვებითა: ,,აწინდელი ოჯახი ისე დაქუცმაცდა და დაკნინდა, რომ წარსულის აჩრდილიც არ არის. ქართველი, როგორც თავზე ხელს მოიკიდებს, მაშინვე იმის ფიქრშია, რომ საკუთარი სახლი გაიჩინოს. შვილი მამასთან ველარ მოთავსებულა, ძმა თავის ძმასთან, ქალი დედასთან. სადაც ერთი ოჯახი იყო, იქ ოცი და უფრო მეტი გაჩნდა. ახალი სახლ-კარი და ოჯახობა ისე მრავლდება, თითქო ქამა სოკოაო!.. და როდესაც ამ საბრალო პაწაწკინტელა ოჯახებს შეჰყურებ და ძველებურ უზარ-მაზარ დარბაზს იგონებ, გულში გეცინება და გეტირება კიდეც... სამწუხარო და თავში საცემი ის უფროა, რომ ოჯახში ზნეობრივი ურთი-ერთობა დაეცა, წესი და რიგი შესუსტდა, ოჯახის მამობა დაუძლურდა, დიასახლისობა მოისპო. აწინდელ ოჯახში ერთი მეორეს ისე უცქერის, თითქოს მგელი თხასაო“...

აქ Plebs-ი, რასაკვირველია, დიდათ შემცდარი ბრძანდება და, აი, რისთვის. ბატონ-ყმობის უღლიდან გათავისუფლებულის გლეხის გონება და ზნეობაც, ყოველგან და ყოველთვის მონის ჭკუა-ზნეობაზე მაღლა დგას, რადგან, შედარებით, პირველს უფრო ესმის და აფასებს თავის პირად ღირსებას, კაცობას და მნიშვნელობას. და ამ პრინციპის თანახმათ, ჩვენ უარ-ვყოფთ Plebs-ის მიერ ძველი ქართული ოჯახის ასე გაზვიადებულს იდეალიზაციას, აწინდელ ცხოვრების პირობებთან მის შეუფერებელ თეორიას, რომელიც, მართლა სასწაულიც რომ მოხდეს და განხორციელდეს დღეს, ადვილათ შესაძლებელია, ოჯახის წევრთა შორის დაიბადოს დიდი და საშინელი უკმაყოფილება, შური, ნამდვილი ანარხია და სინიდისი, ზნეობა სულ ძირიანათ ამოვარდეს და განადგურდეს. ის არ ჯობია, ბ-ნო Plebs-ო, ცრუ იდეალებისა და უნიადაგო თეორიების გამოკიდებას სრულიათ თავი დაანებოთ და დღევანდელ ნამდვილ ცხოვრების მრავალ-გვარ საჭიროებასა და ინტერესებს პირ-და-პირ გონიერული თვალით შეხედოთ, რომ მის თავისუფალსა და შეურყეველს მიმდინარეობას არ გადაეღობოთ!.. პუბლიცისტიკა—და არა მარტო იგი, სხვაგვარი მწერლობაც, რომელიც არა დგას ხალხის ნამდვილ დღევანდელ პრაქტიკულ საჭიროების ნიადაგზე, მკვდარია. და Plebs-იც, რომლის ჩვენი ძველის წარსულით წმინდა, გულწრფელი გატაცება და სიყვარული მე, პირადათ, ნამდვილათ მრწამს, უნდა გამოეთხოვოს და განშორდეს თავის ტკბილ ოცნება-იმედებსა და უნიადაგო, ფუჭ თეორიას...

მთელი ცხოვრება ხალხისა, მერე ისეთი ხალხისა, რომელსაც ჰქონია კულტურა და დროის შესაფერი წარსული, მარტო დღევანდელი, ან მარტო გუშინდელი ნამოქმედარი კი არ არის, რომ ბატონი Plebs-ის და მისებური პუბლიცისტების ერთი სულის შებერვით განქრეს და მათ მიერ აღძრულ ,,პროგრამა სურვილებსა“ და აღტაცებულ ლოცვებას გაჰყვეს და დაემორჩილოს... ვინც ფიქრობს ამ ჩვენი აზრის წინააღმდეგ, იმას ცხოვრების ლოღიკისა ინჩიც არ გაეგება და ,,ქადაგათ დავარდნის“ სურვილი თუ აღძვრია მარტო, ინებოს... სანამ ენა და ყბები არ დაეღლება...

—

ეს იყო უნდა აგვეღო და გაგვერჩია მეორე სტატიაც იმავ ბ-ნ Plebs-ის (,,ივერია“ № 4, 1896 წ.), რომელშიაც იგი საუბრობს, აგრე წოდებულ ქალთა ემანსიპაციის შესახებ, რომ კიდეც მივიღე ,,ივერიის“ № 57, სადაც იმის საპასუხოთ დაბეჭდებულია ჩინებული წერილი ქ-ბ-ნ კატოსი. მე მგონია ქართულ ახალ ლიტერატურას ვიცნობ და, უნდა გამოვტყდე, რომ ჯერ იქ არ შევხვედრივარ თვით ქართველ ქალისაგან ამ საყურადღებო საკითხის ასე სავსებითა და სისრულით წამოყენებას.

ჩვენი პასუხი და განხილვა, მართალი მოგახსენოთ, არ იქნებოდა ისეთი მაღალი ენტუზიაზმითა და გატაცებით დაწერილი, როგორც ქ-ბ-ნ კატოს წერილია. და ეს ასეც უნდა იყვეს. მამა-კაცთა მიერ ქალთა გამოსარჩლებას, რაც უნდა იყვეს, სხვა ფერი და ხასიათი აძევს და ამცირებს თვით შეგნებულ ქალთა ღირსებასა და პიროვნებას. ამიტომაც, ქ-ბ-ნი კატო მართალია, როდესაც ბრძანებს: „დამოუკიდებლობა, თავისუფლება მხოლოთ, მაშინ ამაღლებს კაცის პიროვნებას, როცა იგი საკუთარი მეცადინეობით და ღონით არის მოპოვებული. შეგნებული ქალები კარგათ ხედვენ, რომ ცხოვრება ბრძოლაა და ამ ბრძოლაში კი უძლიერესი რჩება გამარჯვებული. სრული შერიგება, დამეგობრება უნდა მოჰყვეს მხოლოთ ბრძოლას. აი, ბ. პლებსო, რა დაავალა და რას მიახვედრა ისტორიამ თანამედროვე ქალი“..

უმეტესობა ქართველი საზოგადოების შვილებისა, ქალია თუ ვაჟი, ჩვენდა სამწუხაროთ, საშინლათ დაცემულია, სულის კეთილთვისებას მოკლებულია, ზნე-ხასიათით გარყვნილია და სახეზე ეტყობა ან უზრუნველი აზიური მხიარულება, ან სრულიათ ურცხვი უდარდელობა და ინდეფერენტიზმი. იშვიათათ მინახავს არა თუ დღეინდელ ქართველ ნასწავლ მანდილოსანთა, თვით მამულიშვილთა და ცნობილ ლიტერატორ მამა-კაცთა შორისაც ისეთი, რომელიც საერთო და სამოქალაქო საქმეთა გამო წარბ-შეკრული და ღრმათ ჩაფიქრებული იყოს. და ეს იმიტომ, რომ ჯერ, არც ქართულ ოჯახს და საზოგადოებას, არც თვით იმ სასწავლებელს, სადაც სწავლა-განათლებას იღებს ქართველი, იმის თავსა და გულში არ დაუბადებია ცხოვრების განკარგების ცხოველი მოთხოვნილება და ინტერესი, ტვინის მოძრაობისა, გულის ღელვისა და ხელის განძრევის სურვილი. ამიტომაც, იმ თითო-ოროლა პატიოსან კაცთა და ნამეტურ ქალთა, რომელნიც გამოთქვამენ ასეთ უანგარო სურვილსაც კი, ჩვენ აღტაცებით მივეგებებით და ვინატრებთ, მათი ლაღადება, კეთილშობილური სურვილი და უპირველესი საჭიროება საქართველოს არე-მარეზე უნიადაგოთ არ დარჩენილიყოს და ცხოვრებას სისრულით დაეკმაყოფილებიოს...

ხომლელი.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

მარტის 4-ს თბილისის ქალაქის საბჭომ გადაწყვიტა თბილისში ქალაქის სამკითხველო წიგნთ-საცავის დაარსება. როგორც გაზ. „Кавказъ“-ი იუწყება ამ წიგნთ-საცავის პროექტი უკვე შეუმუშავებიათ. სხვათა შორის ვტყობილობთ, რომ თურმე ქალაქის საბჭოს ფასის დადებაც სდომებია ამ სამკითხველოს სარგებლობისათვის. ჩვენი ფიქრით, რადგანაც ქალაქის სამკითხველოს უფრო ქალაქის ღარიბ მცხოვრებთათვის ექნება უპირველესი მნიშვნელობა, ფასის დადება ყოვლათ უხერხულათ მიგვაჩნია. ამ წიგნთ-საცავთან განზრახვა აქვთ აგრეთვე დააარსონ ცალკე განყოფილება კავკასიის შესწავლის შესახებ (по Кавказовѣдѣнію). ესეც უმნიშვნელოთ მიგვაჩნია, რადგანაც თბილისის საჯარო წიგნთ-საცავი პირდაპირ ამ დანიშნულებისათვის არის დაარსებული. ჩვენ კი გვგონია მაინც, რომ ქალაქის მომავალმა წიგნთ-საცავმა უმეტესათ სახალხო წიგნებს უნდა დაუთმოს პირველი ალაგი.

***

სარწმუნო წყაროებიდან გვატყობინებენ, რომ გურიის სავაჭრო ამხანაგობა, რომელიც აბრეშუმის წარმოებით იწყებს თავის მოქმედებას, უერთდება კუხის მეაბრეშუმეთა ამხანაგობას. ძლიერ სასიამოვნოთ უნდა ჩავთვალოთ ეს ამბავი, რადგანაც საერთო ძალით მოქმედებას ყოველთვის უფრო დიდი ასპარეზი ექნება.

***

თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის მომავალი კრების გამო საჭიროთ ვთვლით შემდეგი ცნობები მივაწოდოთ მკითხველს. საანგარიშო წელს გაცემულა 483 სესხი 2.697,800 მან. ბანკის დაარსებიდან კი 1896 წლამდე ბანკს გაუცია სულ 4788 სესხი 28.659,595 მანეთისა. საანგარიშო წელს ბანკის წმინდა შემოსავალი ყოფილა 280,224 მან. 14 კაპ., ეს შემოსავალი აღემატება წინა წლის შემოსავალს 14,441 მან. და 44 კაპ. („ივერია“).

***

როგორც გაზ. „ახ. მიმოხ.“ გვატყობინებს, რომ 698 კაცს აქვს აღებული ვექილობის ფურცელი სა-

თავად-აზნაურთ ბანკის კენჭის ყრის დროისათვის. ასე რომ წელს სამჯერ მეტი ხმის მქონე იქნება საზოგადო კრებაზე.

***

„თბილისის ფურც.“ სიტყვით გამოძიება, რომელიც ქალაქის საყასბოში დანიშნული იყო გუბერნიის ექიმის ტ. ს. ქიქოძის მიერ ღორის ხორცში აღმოჩენილ ღორთველას (ტრიხინების) გამო ასე დამთავრებულა: ყველაფერში დამნაშავეა საყასბოს მცველი და არა მისი უფროსი ზეითალი ბ. ისპანდიაროვი, რომელიც საკუთრივ განაგებს საყასბოს. ჩვენ გვიკვირს, რომ ქალაქის გამგეობას გამოუცხადებია საყვედური ბ. ისპანდიაროვის გარდა აგრეთვე უფროსი ზეითალის თანაშემწე ბ. დედაბეროვისათვის, რომელსაც როგორც ნამდვილათ შევიტყვეთ ამ საქმისა არა ეკითხებოდა-რა.

## საყურადღებო ამბები.

ს. ჭაქვინჯი. (სამეგრელო). ს. ჭაქვინჯი მდებარეობს შუა გულ სამეგრელოში, ზუგდიდის მაზრაში, ჭანის წყლის დასავლეთის მხარეს. აქაური მცხოვრებნი მისდევენ ხვნა-თესვას; მოჰყავთ სიმიდი, ღომი, ფეტვი და იშვიათათ პურიც. მოსავალი საზოგადოთ კარგი იცის. ს. ჭაქვინჯში არის ერთი სამრევლო სკოლაც.

ამ სოფელში არის ერთი დიდი ძველი ციხე, რომელსაც უწოდებენ სახელათ „ჭაქვინჯის ციხეს“. ეს ციხე, ძველ დროში შესანიშნავი უნდა ყოფილიყო. ციხე დგას შუა გულ სოფელში, მომაღლო ადგილზე, სიგრძით ციხე იქნება 67 საჟენი, სიგანით 45 და სიმაღლით 35 საჟენი. სამ სამ სართულიანი „ყორშები“ აქვს სულ ოთხი, რომელთაგან ორი აქა-იქა ჩამომტვრეულა. ციხეს შიგნით ერთ მხარეზე იმყოფება „აკლდამა“. აკლდამა გავს პატარა ბეღელს. როგორც ამბობენ ადგილობრივი მოხუცნი, ეს აკლდამა ძველ დროში ყოფილა სასაფლაო მიცვალებულთათვის ომიანობის დროს, როდესაც, კაცის გვამის გატანა გარეთ არ შეიძლებოდა. შიგ ციხეში ახლაც არის ჩანგრეული ძველი ქვის ეკლესია. ციხის შუა ადგილას არის ჭა, რომელიც სიღრმით იქნება 40 საჟ. ჭაში გადებულია რკინის კარი და „ხაჯალურები“ (როგორც ამბობენ ადგილობრივი მოხუცნი). დიდი ციხიდან ჩრდილოეთისკენ, საკმაოთ დაშორებულ მანძილზე, არის კიდევ მეორე პატარა ციხე, ამ ორ ციხეს შუა თურმე დაფარული სავალი ყოფილა (და ახლაც არის). როცა დიდ ციხეში მყოფთ, ომიანობის დროს მტრების მიერ გარშემორტყმულთ, ჭის წყალი შემოაკლდებოდათ, ამ დაფარული სავალით მიდიოდენ პატარა ციხეში და იქიდან მოჰქონდათ თურმე წყალი. ეს უკანასკნელი ციხე ზედ წყაროს წყალზე ყოფილა აშენებული; დიდი ციხიდან ჩრდილოეთ-დასავლეთისკენ დაახლოვებით 80 საჟენზე დგას ახლაც ერთი დამტვრეული ბუხარი, სადაც ყოფილა ძველათ სასახლე სამეგრელოს მფლობელის ლევან დადიანისა. ამ ნაბუხრევსა და დიდ ციხეს შუა არის კიდევ ქვით გაკეთებული ფარული სავალი.

ზემოხსენებული დიდი ციხე, სხვათა შორის ძველებურ დროში, (როგორც ამბობენ ადგილობრივი ღრმათ მოხუცებულნი), ყოფილა, დამნაშავეთა საბყრობილეც. ძველათ, მთავრობის დროს ქურდების გასასამართებლათ შემდეგ საშუალებას ხმარობდენ: ბრალდებულ კაცს ხელის გულზე დააფარებდენ სამ ქაღალდის ნაჭერს და ჩაუგდებდენ ამ გადაფარულ ხელის გულში ცეცხლით გახურებულ შანთ—რკინას და თუ გაიხტუნებდა სამჯერ წინ გადააგდებდა შანთ—რკინას იქით, და ხელი დარჩებოდა უვნებელი, დაუწველი, მაშინ გათავისუფლებული იქმნებოდა ბრალისაგან. წინაალმდეგ შემთხვევაში, ე. ი. თუ ხელი დაეწვოდა, იგი ცნობილი იქნებოდა დამნაშავეთ და დაკარგულის ფასს გადაახდევინებდენ ერთის (დაკარგულის) მაგივრათ შვიდჯერ მეტს—„შვიდეულს“, და თვით დამნაშავეთ ცნობილს დაბორკავდენ „ხაჯალურით“ და ჩააგდებდენ ციხეში.

დიდი ციხის მახლობლათ ამ უკანასკნელ დროში გაჩნდა წყარო, რომელიც ორ საჟენის სიმაღლიდან გადმოჩუხჩუხებს და რომელსაც, როგორც დარწმუნებით ამბობენ ახლა, აქვს მკურნალობითი ძალა. ეს წყალი ყოველთვის იყო, რასაკვირველია, მაგრამ ამას მხოლოთ ახლა მიაქციეს ასეთი ყურადღება. ბანაობა ამ ცივ წყალში, როგორც ამბობენ, კაცს ათავისუფლებს: ციებ-ცხელებისაგან, ხურვებისაგან, ... ვის ტკივილისაგან, ხაშმისაგან, შაკიკისაგან და ... ხალხი ზაფხულობით ორი-სამი წელიწადია რაც ... არება აქ საბანაოთ და ბევრი კაციც გაუთავისუფლებია თურმე ზემოხსენებულ სენებისაგან. ეს ამბავი ჯერ-ჯერობით ექიმებისაგან არ არის შემოწმებული.

მათე ხუბულავა.

***

ბ. რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ ამ ...

მცირე წერილს ადგილი უბოძოთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „კვალში“.

საჩხერის კორესპონდენტი, „ქვემოური“ „კვალის“ 13 ნომერში წერს სხვა-და-სხვა ამბებს, რომელთა შორის უსაფუძლოთ ეხება მე და ჩემს მოქმედებას.

ასახსნელათ ჩემის სიმართლისა მოგახსენებთ შემდეგს: მე ჩემის ავათმყოფობისა გამო, ექიმების რჩევით დანიშნული მქონდა დღეში რამოდენიმე საათის სიარული (маціонъ), ან სხვა რაიმე მუშაობა და ფიზიკური ვარჯიშობა, სხვათა შორის ბილიარდზე თამაშობაც. წრევანდელის ზამთრის მიზეზით, მოგეხსენებათ სიარული შეუძლებელი იყო და მუშაობითაც რა უნდა მემუშავნა; ისევ ვარჩიე ბილიარდის თამაში და, რადგან საჩხერეშივე იყო გასაყიდი ბილიარდი ვიყიდე და დავდგი, ჩემთვის საკუთრათ და არა სავაჭროთ; ეს მოძრაობა მე ძრიელ მომიხდა და ახლა, რადგან კარგათ გავხდი, ავიღე და ეს ბილიარდი თავისი ოთახით, ერთს პატიოსანს კაცს, გლეხს სიმონა ხვედელიძეს გადავეცი. ხვედელიძემ პატენტი აიღო და აწარმოებს თავისთვის, ვაჭრობს პატიოსნათ, რასაც აქაური საზოგადოება თვით დაამტკიცებს; ხვედელიძე იღებს თითო თამაშობაში 3—5 კაპეიკამდე, იმასაც ვინც თავის ნებით აჩუქებს, თორემ თითონ არავის აწუხებს.—ახლა გამოჩნდა ვიღაც ცრუ-წინასწარმეტყველი „ქვემოური“, აუღია კალამი და მტრობით რამდენი რა არ მოუჩმახავს, რა არ დაუწერია. ერთი ჰკითხოს მას კაცმა, თუ ის მართალი კაცია, რატომ ამ ბილიარდზე აქამომდე არაფერი თქვა; მე ეს ბილიარდი პარიჟიდან ხომ არ გამომიწერია, აქვე, საჩხერეში ვიყიდე, სადაც ოცდახუთი წელიწადია დგას და მოქმედობს. ჯერ ფრანცუზსკის ჰქონდა, მერმეთ ვაჭარმა დიმიტრი ქებაძემ იყიდა და ამ ქებაძისაგან მე ვიყიდე; განვიმეორებ, თუ ეს ბილიარდი საჩხერის საზარალო იყო, რატომ ერთმა კაცმა მაინც აქამომდე ამაზე არაფერი თქვა. სხვათა შორის ქადაგებს ცრუ წინასწარმეტყველი „ქვემოური“: საჩხერელებს ბილიარდი და სიცოცხლე რათ უნდათო, ხუთი მანეთის მეტი არავის არა აქვსო; ესეც დაუჯეროთ? საჩხერეში ყველა იმისავით კოტრები ხომ არ არიან; აქ ზოგიერთი რამდენიმე ასიათასი მანეთის საფასო საცხოვრებლის მქონენიც ერევიან და ათი-ათასიანი ხომ სულ ბევრი გახლავან, და ნუ თუ მათ არაფერი ცხოვრების და სიცოცხლის მასალა არ უნდათ. მოგეხსენებათ საჩხერეში მარტო ამ ცრუ წინასწარმეტყველებისთანა კი არ გახლავან, აქ განათლებულნი და წარჩინებულნი პირნიც ბევრია და საჩხერეც მათი სამფლობელოა; ვინც კი ბრძანებულა საჩხერეში, იმათთვის ბევრი დამტკიცება აღარ დამჭირდება და მე, მგონია, ყველას კარგათ მოეხსენება საჩხერის თავად-აზნაურებისა, ჩინოვნიკებისა და რამდენიმე ვაჭრების ცხოვრებაც. ამათ საჩხერეში სამკითხველო უკვე გახსნეს და კლუბის გახსნასაც ცდილობენ. ასე უნდა დავაბოლოვოთ, რომ საჩხერე მხოლოდ სიერცით არ არის დიდი ქალაქების ოდენი და რაიც შეეხება განათლებას და ცხოვრებას, ამას თამამათ მოგახსენებთ, რომ შესაფერათ ნაკლულევანება არა აქვს-რა; ბუნებით რომ ბევრ კუთხეებზე უფრო დაჯილდოებულია, ეს ცხადია.

ჩემ პატივის მცემელ „ქვემოურს“ ერთი კიდევ უნდა ვკითხო: თუ ეს ვაჟბატონი ქვეყნის კეთილ მდგომარეობისათვის ზრუნავს, სხვა უფრო საინტერესო საქმე ვერა ნახარა ამ ქვეყანაში? რამდენი გაჭირვება და უბედურება უგზობითა და უხიდობით ადგია აქ მცხოვრებლებს ამაზე რატომ არას წერს, ან კიდევ ის ვინ იყო ტფილისელ ვაჭრებს, რომ საქონელი და ფული დატყუა და მერმეთ თავი გაიკოტრა. ეს არაფერია? ან კიდევ დუქნებში, რომ ხალხს შეიტყუებენ და ჩუმათ კარტს თამაშობენ და ცარცვენ, ესეც არაფერია? ლოთობა და ღამით ქუჩა-ქუჩა წანწალი და ყვირილი კი არ გეყურება ჩემო ქვეყნის ცრუ პაპა? მე თქვენ გირჩევთ სხვის დარიგებას და ცილის წამებას თავი დაანებოთ, თორემ ინანებთ. ამ ჩემ მიერ მოხსენებულ გარემოებათა გარჩევას და ეკრეთვე მისას, თუ როგორი სიცრუეა მთელი კორესპონდენცია „ქვემოურისა“, მე მივანდობ აქაურს პატიოსანს საზოგადოებას, რომლის წინაშე, იმედი მაქვს მე არ გავწითლდები და „ქვემოურს“ კი არ დაადგება კაი დღე.

**ილარიონ გამყრელიძე.**

***

მიქელ-გაბრიელიდან (გურია) იწერებიან: რამოდენიმე პირმა განვიზრახეთ მიქელ-გაბრიელში დავაარსოთ ყოველად სამღვდელო გაბრიელის სახელობაზე სამკითხველო; და ხალხმაც შემწეობა აღგვითქვა ამა საქმისთვისო.

*
* *

ქარი ჰქრის, ქარი გრიალებს,
არ ცხრება განრისხებული,
დამსხობის მოლოდინშია
ქვეყანა შეშინებული.

—

გული წუხს, გული მღელვარებს,
არ ცხრება აღშფოთებული,
სიკვდილის მოლოდინშია
მგოსანი დასუსტებული.

—

მაგრამ, დე, ქარმა იქროლოს, —
ღრუბლები შეიკრიბება,
წამოვა წვიმა ჟუჟუნა,
ქვეყანა კვლავ დამშვიდდება!

—

დე, იმწუხაროს გულმაცა, —
გამწვავდებიან გრძნობანი,
გადმოჰჩქეთქს ცრემლი მდუღარე,
კვლავ აღფრთოვნდება მგოსანი.

—

და ამღერდება ციურ ხმით,
ზეგარდმო მადლით ცხებული,
ტვირთ მძიმეთა და მაშვრალთა
ნუგეშათ მოვლინებული!..

დუტუ მეგრელი.

# მესამოცე წლების მოღვაწენი

და

# დღევანდელი ცხოვრება.

(თ. რ. ერისთავის იუბილეს გამო.)

## VIII *)

როგორ არის ეს ეკონომიური სინამდვილე ადამიანთა გონებაში გადატანილი? რანაირათ არის შეგნებული მებრძოლთა მიერ?

თავად-აზნაურობა მიილტვის მეურნეობით იცხოვროს, აქ სოფელი თამაშობს უპირველეს როლს.
ბურჟუაზია (ვაჭარ-მრეწველნი) კი ალებ-მიცემობით
და მრეწველობით. აქ ქალაქს უკავია პირველი ად-
გილი. ახლანდელი ცხოვრება სოფლის დაქვეითება-
ზე და ქალაქის აღორძინებაზეა აშენებული. ამიტომ
თავად-აზნაურობას თანდათან ნივთიერი საფუძველი
ეცლება, მაგრამ საზოგადოებაში პირველობა მაინც
სურს, რომ დაიკავოს. მეორე მხრით, ბურჟუაზია თან-
დათან ნიადაგს იკეთებს და მკვიდრდება. მას არავი-
თარი განკერძოებული უფლებები არა აქვს, აქვს მხო-
ლოთ ფული და საზოგადოებაში ამ იარაღით გამო-
დის. ესეც პირველ ალაგს ეძებს. ეს ორი მაძიებე-
ლი, ცხადია, ერთმანეთს უნდა შეეტაკონ, სხვა გზა
არ აქვთ. ამით ბრძოლა, ეკონომიურ სარბიელზე
ამტყდარი, გადადის გონებაში და იწვევს შესაფერ
მოქმედებას. ეს კლასთა ბრძოლაა par excellence. ორი
კლასი—ძველი და ახალი—ერთმანეთს ეომებიან,
რის გამო ვითარდება შრომა, მატულობს ენერგია,
წინ მიდის ცხოვრება. ჩვენ თავს ნებას მივცემთ ამ-
რის გასარკვევლათ მოვიშველიოთ ერთი მოთხრობა,
რომელიც დაიბეჭდა „მოამბეში“ № 4 & 5 1895 წელ
და ეწოდება „ფირალი დაველაძე“. მთელი მოთხრობა
აშენებულია კლასთა ბრძოლის დედა-აზრზე. ერთ კლას
წარმოადგენს აზნაური ივანე დაველაძე, მეორეს ვაჭარ
ნიკო კალაძე. ჩვენ აქ არ შევუდგებით ამათ ერცლათ
გარჩევას, გვსურს მხოლოთ ამოვიღოთ ორი მომენ-
ტი, როცა ეს სხვა და-სხვა კლასის წევრნი ერთმა-
ნეთს შეხვდებიან. ორივე შეხვედრა ტრაგიკულათ
თავდება. მოთხრობა ამოღებულია იმ მაზრის ცხოვ-
რებიდან, სადაც ინდივიდუალური და ბურჟუაზიულ
მიდრეკილება ყველაზე უფრო განვითარებულია. ეს
მაზრაა გურია.

ერთი გლეხ-კაცი ეძებს „ფულიან კაცს“, რომ
შვილი მოანათვლიოს და ასეთი დამოყვრებით ხელ
მოითბოს. ასეთ სასარგებლო კაცათ მან იცნო თა-
ვის სოფლის გლეხის შვილი, იმ ჟამათ ბათომში
მოვაჭრე, ნიკო კალაძე. დაინიშნა ნათლობის დღე,
მოიპატიჟეს სტუმრები, რომელთა შორის არის ამა-
ვე სოფლის ახალგაზდა აზნაური ივანე დაველაძე. დი-
დი ლოდინის შემდეგ გამოცხადდა „ფულიანი კა-
ცი“.

— „რა ამბავია, კაცო, ამდენ ხანს რომ გვალოდინე-
თიე! პაწაი ადრე არ გეკადრებოდა მოსვლა, სადაუ-
რი დიდი კაცი ხარ შენ?—ძალდატანებული ხუმ-
რობის კილოთი უთხრა ნიკოს ივანემ.

— „შენთან კი ვარ უკაცრავათ! მიუგო მას ნი-
კომ ისეთი მედიდური ღიმილით, რომელსაც ზოგიერ-
თები ხმარობენ, როცა უნდათ ვისიმე დამცირება.

— „უკაცრავათ კი ხარ, ყაზახო, მეტი თუ არა-
ფერი! — წარმოთქვა ივანემ გაბრაზებით.

*) იხ. „კვალი“ № 16.

ამნაირათ, შეხვედრისთანავე მათ შორის უსიამოვნება ჩამოვარდა. რატომ? საქმე იმაშია, რომ ივანე, როგორც კეთილშობილი პირველობას თხოულობს, მაშინ როდესაც უბრალო ნაყმევის შვილს, ნიკოს, ყველა მოწიწებით ეპყრობა. ამას გარდა, აქ არის ერთი გასათხოვარი ლამაზი ქალიშვილი (ესეც აზნაური), რომლისაკენ ორივეს თვალი უჭირავს, ორივეს სურთ თავი მოაწონონ.

— „მაგინი (ქალაქში მოვაჭრენი) რეიზა არ იქნებიან კარგათ, თუ ღმერთი გწამს, ფული მაგენს არ აკლია, თეთრი და საქონელი, რა ენატრებიან ღვთის გაჩენილი! დაიწყო სამსონმა.

— „ახლანდელ დროში ფული ვისაც აქ, კაციც იგია,—დაემოწმა მასპინძელს მეორე სტუმარი.

— „ოჯხო ცარიელი ფულიც არაფერი არაა, თუ კაცი თითონ არ ვარგა და პაწაი განათლება არ ახლავს!—შენიშნა მესამემ.

— „ნეუქელი“ შენ უფულოთ გააკეთებ რამეს, კაი განათლებულიც რომ იყო?—თავმომწონეთ დაიწყო ნიკომ—შეძლება თუ გაქ, განათლებულიც მაშინ ხარ. რავა რას უძახი შენ განათლებას? იგი, კაცი კას ჭამს, კას სვამს, კარგათ აცვია და ახურავს, მტერს რიგიანათ დაუხვდება და მოყვარეს. ერთი სიტყვით, განათლებული ცხოვრება აქვს. ფული რომ არ ჰქონდეს ხომ ვერც ერთს ვერ იზამს? ბევრი ვიცი იმისთანა კაცი რომ განათლებულათ მოაქ თავი და მჭადი კი ენატრება!

— „აბა მე გეტყვი შენ,—დაიწყო ივანემ ათრთოლებული ხმით:—კაცი თუ ჩამომავლობით ჯალაბია, იმას ვერც ფული მოარჯულებს და ვერც ვერაფერი. კისრამდინ ოქროში რომ ჩასვა იმისთანაი კაცი, მაინც თავის ზნეს არ მოიშლის!

— „კი მარა ამ ცარიელმა, გაფხეკილმა აზნაურშვილობამ რა მოუტანა ვინმეს? ვინ უყურებს ახლა ჩამომავლობას? რამდენია იმისთანა აზნაური, რომ მჭადს არ წაუტეხს კაცი, ორი კაპეიკიზა ცოლ-შვილს დააწინდრებს. კაი ხანია წევიდა უწინდელი დრო! ახლა კაცი იგია, ვინც თვითონ ვარგა, ვისაც რამე გააჩნია; მარტუაი აზნაურიშვილობა სულ აფერი არაა. იგი ტყუილაი არ თქვას ვინმემ!.. ცხარობდა ნიკო“.

ეს შეტაკება ჩხუბით დასრულდა. ივანეს შემდეგ ფული დაჭირდა, შინ ვერ იშოვა და ვილაც გაცარცვა. დაიჭირეს და მერე გაფირალდა. ამ დროს ის სადაო ქალიშვილი მამამ ძალ დატანებით ნიკოს შერთო. ერთ საღამოს ნიკო ოთახში ფულს ანგარიშობს და უცებ თავზე წამოადგა ფილარი ივანე დაულაძე.

— „უკაცრავათ! მგონი საქმე შეგიშალეთ,—დაიწყო ივანემ,—მგონი კი უნდა მიცნობდე. კაი ხანია შენი ნახვა მინდოდა, მარა აქამდი ვერ მოვახერხე.

— „დაბრძანდით!.. ძლივსლა წაილუღლუღა ნიკომ და სკამის მოსატანათ წამოიწია.

— „არ გაექანო მაქიდან, თვარა ამ წუთში გაგათავე!—დასჭყივლა ივანემ.

„ზარ-დაცემული ნიკო ხელებ-გაწვდილი გაშეშდა.

— „ვინ ხარ შენ, მამაშენი ვინ იყო, ხომ კი გახსოვს?—მკაცრათ ჰკითხა ივანემ.

— „მე... კი... უნდა მიცნობდე თქვენ... ძლივს წარმოთქვა ნიკომ.

— „შენ კიმოთაი კალაძის შვილი ხარ, გლახა კიმოთაი რომ იყო; სამოწყალო, იმას! შენ გაურეცხელი ყაძახი ხარ, მოჯალაბე, ხომ კი?

— „ბატ...

— „ახლა მიძახი ბატონს, შენ წუნკერო, შენ?—გააწყვეტინა სიტყვა გამძვინვარებულმა ივანემ.—შენი ბატონი ყოველთვის ვიყავი მე, მარა ორი კაპეიკი რომ იშონე, მერე კაცი აღარ გიჩთა თვალში, ქვეყანა შენი იყო გეგონა!“ ივანემ ჩასცა ხანჯალი და იქვე უსულოთ გააგორა.

ამ გვარათ, აქ წარმოდგენილია ცხოვრების ორი მხარე, ორი ღრმა მიმდინარეობა: ერთი მხრით, დგას ვაჭარი, მეორე მხრით—აზნაური. პირველი ქადაგებს სრულებით ახალ აზრებს—თუ ფული გაქვს კაცი მაშინ ხარო. ეს საფრანგეთის რევოლიუციონურ ბურჟუაზიამ ასე გამოხატა: l'argent n'a pas de maitre—ფულს ბატონი არ ჰყავს, ე. ი. ვისაც ფული აქვს, ბატონიც ის უნდა იყოსო. ამ დროში დასცა მან ძველი ფეოდალურ—აზნაურული წყობილება. ამ პრინციპზეა აშენებული დღეს მთელი ევროპის ურთი-ერთობა. და როცა მუშა-ხალხი ბურჟუაზიას ებრძვის ამ პრინციპს კი არ ცვლის, არამედ აფართოვებს: ფული ე. ი. ცხოვრების სახსარი ყველას საკმარისი უნდა ჰქონდესო. ნიკოს აზრი: ფულიანი განათლებულიც არისო, მართალია ევროპაში, ყალბია ჩვენში. იქ განათლებას ბურჟუაზია იძენს, საშუალო და მაღალ სასწავლებლებში ვერ ნახავ მუშა პროლეტარის და გლეხი-მესაკუთრეს შვილს. ჩვენში ბურჟუაზია ისე გამაგრებული არ არის, რომ ერთდა იმავე დროს ფულიც შეეძინა და სწავლაც მიეღო, ეს პირველი თაობაა. მეორე, მესამე და შემდეგი (ბურჟუაზიის) თაობა ევროპის გზაზე დადგება. აქ ვაჭარი საპატიო პირია. ვაჭრების ხელშია მთელი მართვა-გამგეობა. საფრანგეთის პრეზიდენტი ვაჭრობდა, დეპუტატები, მწერლები უმთავრესათ ვაჭრები და მექარხნეებია. ერთი სიტყვით, ევროპის სახელმწიფოს მართველობა კაპიტალისტთა კომიტეტია, რომელიც



სცენები რუსეთის ცხოვრებიდან.

განაგებს თავის საქმეებს, როგორც წასულში აზნაურები განაგებდენ.

რას ქადაგებს ივანე? მისი აზრები ძველებურია, მთელი წასული მის გემოზე იყო მომართული. ის წასულის წარმომადგენელია, სურს ისტორიის ჩარხი უკან დაატრიალოს და ძველი კაი დრო სიგძე სიგანით აღადგინოს. ის გავლილი ხანის გმირია, გამოსადეგი თოფ-ხმალში, მამაცი ბრძოლაში, გულადი, ყოჩაღი, მხნე, მარდი სხვ. ასეთ პირში საჭიროებდა წინანდელი ცხოვრება და პირველობაც მას ეჭირა. აბა ვინმეს წარმოეთქვა მაშინ ნიკოს შეხედულება, ყველა სულელათ მიიღებდა, დღეს კი გარემოება ისე გადატრიალებულა, რომ ხალხი ნიკოს მიემხრო. აი ასეთ შეცვლილ პირობებში მოქმედობენ ივანე დაელაძე, ტარიელ მკლავაძე და სხვა მისებურნი. ნივთიერი ნიადაგი შეიცვალა, ყოველივე სხვაფერდება, მაგრამ კეთილშობილნი ძველებურათ, შეუცვლელათ, რჩებიან. აი, აქ არის მთელი დრამა. განა ამაში ისინი დამნაშავეა? სრულებითაც არა; მართლაც, როგორ შეურიგდენ იმ აზრს, რომ გუშინდელ მის ნაყმევს აქაო-და ფული აქვსო პირველობა ეკუთვნოდესო. ამ გადასხვაფერებას დიდი ისტორია არ აქვს. ის გუშინდელი საქმეა, ყველას ახსოვს, ხედავს, ადარებს და ამისათვის ძნელი შესაჩვევია. ივანეს და ნიკოს შეჯახება — ეს წასულის და მომავალის აწმყოში შეჯახებაა. ხოლო როცა მომავალი აწმყოთ გადაიქცევა, მაშინ ეს შეჯახებაც მოისპობა და ჩვენი სრული გაევროპიელება შესრულებულ იქმნება. ეს პროცესი იწვევს მწვავე ტკივილებს, სამუდამოთ გვამშვიდობებს საუკუნოებით გამოცდილ იდეებისაგან, ხელს გვაღებიებს დედის ძუძუსთან ერთათ შეთვისებულ შეხედულობებისაგან, გვინგრევს მამა-პაპურ მეურნეობას, პატრიაქალურ გულ-ალალ დამოკიდებულებას, გვირღვევს ოჯახს, სპობს ძველებურ მამა-შვილურ, ცოლ-ქმრულ, და-ძმურ უანგარო, იდილიურ, ურთი-ერთობას და ყველა ამების მაგიერ რას გვაძლევს? ხელში ჩოთქს, გულში მხოლოთ ანგარიშიობას და ჯიბეში ერთს ფულს და მეორეს უფულობას! აი, რა არის ბურჟუაზიული ცივილიზაცია! აქ არის ბედნიერება? არა, მარა ეს აუცილებლობაა, ამას მოითხოვს ჩვენი განვითარება, ჩვენი მერმისი. მხოლოთ აქ ჩნდება ის ძალა, რომელმაც უნდა დაამარცხოს უცხო ერებთა მეტოქეობა, მხოლოთ აქ ვითარდება ის ნიადაგი, რომელზედაც ქართველობამ თავისი ნაციონალური მოქალაქეობა უნდა აღაგოს. განა აქ არის კმაყოფილება? აქ არის მშვიდი, წყნარი ცხოვრება? არა და არა, პირ-იქით აქ არის უკმაყოფილება, მოუსვენრობა და ბრძოლა, ბრძოლა წაღმა-უკუღმა, წინ, უკან, შიგნით, გარეთ — ყველგან. აი, ამ ბრძოლაში უნდა აღორძინდეს ის ძალაც, რომელიც გაილაშქრებს თვითონ ბურჟუაზიის წინააღმდეგ და გადაგვიყვანს უმაღლეს საფეხურზე — იქ, სადაც დატანჯულ, დასუსტებულ, ნერვებაშლილ კაცობრიობამ უნდა ჰპოვოს ნავთსაყუდარი, სიმშვიდე, მოსვენება და განცხრომა!..

ვინ არის ამ მიმდინარეობის მეთაური? ვის მივყევართ ამ აღთქმულ ქვეყანაში?

ნ. ჟორდანია.

(შემდეგი იქნება)

## ბიბლიოგრაფია.

**სიყვარული.** თხზულება ლ. თათეიშვილისა. გამ. უგულავასი და „ავტორისა". ქუთაისი, 1896 წ., ფასი 1 მან.

ყველა ახალ გამოცემულ წიგნს ქართულ ენაზე ჩვენ სიხარულით ვეგებებით; ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც ჩვენი ღარიბი ლიტერატურისათვის ყოველივე ახალი გამოცემა რაიმე გონებრივ შენაძენს უნდა ნიშნავდეს, ხელოვნური იქნება ეს უკანასკნელი, თუ მეცნიერული. მაგრამ, მწერლობასაც აქვს თავისი სენი, თუ ამ სიტყვით შეიძლება გამოხატვა იმ მოვლენისა, რომელსაც ყოველნაირი მნიშვნელობის და აზრის მოკლებული წიგნების გამრავლება ეწოდება. ამნაირი სენი მით უფრო საშიშარია, რომ მისი განკურნება მეტათ საძნელოა, თუ შეუძლებელი არა. ჩვენდა სამწუხაროთ, ჩვენ მწერლობაშიაც იწყო გამრავლება ამნაირი ხასიათის წიგნების გავრცელებამ. ეს მოვლენა ყველა მწერლობაში მავნებლათ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ უმეტესათ ჩვენ მწერლობისათვის მიგვაჩნია ის მავნებლათ, რადგანაც ჩვენი მწერლობა ერთობ ღარიბია მაღალ ხელოვნური, მხატრობითი და მეცნიერული ნაწარმოებებით, და ამიტომ უმსგავსი ნაწარმოები უფრო ადვილათ გარყვნის მკითხველი საზოგადოების ლიტერატურულ გემოვნებას. ერთი ამნაირი წიგნი, ამ დღეებში მოუვიდა ჩვენ რედაქციას. ეს წიგნი გახლავთ „სიყვარული" თხზულება ლ. თათეიშვილისა. ჩვენ ვალდებული ვიყავით გადაგვეკითხა ის თავიდან ბოლომდის; მაგრამ ვაი ამისთანა გადაკითხვას! მოგითხრობთ მოკლეთ „პოემის" შინაარს.

„ჭაბუკი ვინმე", სახელათ ზურაბ, მიდის ქართლ-კახეთისაკენ და გზაში ერთ კლდიან ადგილას

წააწყდება გვირაბში მცხოვრებ მოხუც გივს; ეს უკანასკნელი მოუთხრობს ზურაბს თავის თავ-გადასავალს და როცა დაამთავრებს იმას, კვდება. ეს თავ-გადასავალი იმაში მდგომარეობს, რომ გივი დაიბადება, ჭაბუკი გახდება, ამ დროს მამა მოუკვდება, რომელსაც ერთი წლის განმავლობაში გლოვობს; შემდეგ შეიყვარებს შემთხვევით სიფიდამის, სარდლის ქალს, და გაიმართება წერილების წერა იმათ შორის, ეს ადგილი ყოველ გვარ ხელოვნურ ნიშან-წყალს მოკლებულია. არავითარი ხელოვნური ელფერი არ ეტყობა აგრეთვე, როცა გივი და სიფიდამი საიდუმლოთ ერთი-ერთმანეთს სიყვარულს უცხადებენ. ამ შემთხვევის შემდეგ გივს მოუხდება ომში წასვლა საქართველოს გასათავისუფლებლათ არაბებისაგან, სადაც იგი ხოცდა და მუსრავდა. მტრებს („შეშებრ ვკაფავდი არაბებს ბასრის ხმლითა“). საუბედუროთ, ომის დროს გივს ერთმა არაბმა „შუბი თეძოს გაუყარა“, რის გამო „იქვე აღსასრულს“ ელოდა. ამ დროს მას იხსნის განსაცდელისაგან ერთი უცნობი გმირი, რომელიც თითონაც სასიკვდილოთ დაიჭრება. ეს გმირი გამოდგება თითონ სიფიდამი. ეს არის მოკლე შინაარსი „სიყვარულისა“. მაგრამ არც ლექსის და, არც პლანის მხრივ ამ „თხზულებას“ ხელოვნების არავითარი ელფერი არ ეტყობა. როგორც ეტყობა ავტორი ჩემობს რუსთველობას: იგი რუსთველსავით მიმართავს მაცხოვარს, რომ „დასტოვოს წიგნი მდებარე ბედკრული გივის ამბვისა“; თვით ლექსთა-წყობაც რუსთაველისებური აურჩევია ბ. თათეიშვილს; გმირების გარეგნობის აწერაშიაც „ვეფხის-ტყაოსნის“ დაღი ასვია „სიყვარულს“, მაგალ., „ტანსა ემოსა (გივს) საცმელი ტყავი მხეცისა—დათვისა“ (ვეფხის მაგიერათ) და სხვა-და-სხვა. მაგრამ არ მოტყუვდე, მკითხველო, რომ ამით მეორე რუსთველი დაებადებოდეს. ჩვენი ავტორი, როგორც თითონ ამბობს, „კალმის სანაცვლოთ ხელით არევ-დარევს“ მხოლოთ, მისი გონება სრულებით შეურყეველი რჩება, და, აბა, მკითხველის გონებას რაღა გაანძრევს ბ. თათეიშვილის „თხზულების“ კითხვის დროს. მხოლოთ აზრის წინააღმდეგობა და ლექსთა-წყობის უხერხულობა და უმსგავსობა თუ შეარყევს ხანდისხან მკითხველის ტვინს. მოვიყვანოთ ერთი-ორი მაგალითი: „ჭაბუკი ვინმე ყრმა ნორჩი... მოშწიფებული ხნიდგან“; „მე და მამა ვსთხოვდით, მარა თავი აღარ დაიმთვრალეს“; „მღვდელ-მთავრები ადგენ რვაი... ძეგლის ნაცვლათ დავადევით მარმარილოს დიდი ქვაი“... და სხვ.

ამავე წიგნს ამშვენებს აგრეთვე ათი უხეირო სურათი, რომელიც, ამას-და მაუხედავათ, არა იაფათ დაუჯდებოდა გამომცემელს. დიახ, არა იაფათ, და სწორეთ ამ გარემოებამ შეგვაწუხა ჩვენ. ჩვენ ვეკითხებოდით ჩვენ თავს: რათ ჩაგვაყენა ამ გვარ მდგომარეობაში ავტორმა ან ჩვენ, ან თავის თავი? ამ მდგომარეობაში რომ ვიყავით, ამ დროს მოუვიდა რედაქციას ქუთაისიდამვე ბ. თათეიშვილის „თხზულების“ გარჩევა, ანუ უფრო მართლა რომ ვთქვათ, რეკლამა, რომლითაც რეკლამისტი გვატყობინებდა, რომ აი, ეს არის ჩვენ ლიტერატურას „სიყვარულის“ გამოცემით, შეეძინა ერთი დიდი განძიო; მაგრამ ამის უკეთესები აწი მოელის იმავე ბ. თათეიშვილისაგანო, რომელსაც ორი დიდი თხზულება უკვე მომზადებული აქვსო დასაბეჭდათ; მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ ყველა ქართველ მკითხველმა „სიყვარულის“ თითო ეგზემპლიარი გაფუსაღოთო, რადგანაც იმის გამოცემაზე ავტორმა უკანასკნელი ფული[s] ფასი დახარჯაო. დიახ, სამწუხაროა ეს მკითხველო, მაგრამ უფრო სამწუხაროა, როცა ამნაირ „თხზულებანი“ ლიტერატურას ასახიჩრებენ. ყოველ შემთხვევაში ჩვენი ვალია დავიცვათ ეს უკანასკნელი ამნაირი სენისაგან, და ბ. თათეიშვილს და აგრეთვე ყველა იმას, ვინც ამ გვარი სენით არის ავათმყოფი ვურჩიოთ ის, რასაც ურჩევს ავტორი სიფიდიმი გივს:

„რათ იტანჯები უბრალოთ?
მითხარ: რა ჩემი ბრალია?
ტყვილათ ხელს წერით იღალავ,
ცრემლით გისდება თვალია“.

მ.

---

## ცხოვრების სურათები

### VI.

### ბრმების სათაყვანო.

ბეკო! მითხარი გეთაყვა,
რით არის ნიკო ქებული,
რატომ სცემთ ასე თაყვანსა,
რათა გყავთ გაღმერთებული?

—

— აბა რას მკითხავ, თუ ძმა ხარ!
განა ეგ საკითხავია?!
ვინც იმას თაყვანს არა სცემს,
ის საგმობ საკიცხავია!

—

— თუ სათაყვანო კი არის,
მეც მსურს—მივცე სალამი,

მაგრამ ვერ მაცვნე, რას მოძღვრობს
იმისი დროშა-ალამი.

—

—ან თუ შეუშრო ხალხს ცრემლი,
ქვრივ ობოლთ უქრო გლოვანი..
ეს ამიხსენი, ეს მითხარ—
რით არის სახელოვანი?..

—

—სახელოვანი რით არის?
ყველაფრით: შუქით, ზნეობით,
ცოდნით; სიტყვით და საქმით,
მხნეობით, ენა-მჭევრობით..

—

—თვით გამოცადე ყველაში,
შენ მასთან საქმე გქონია,
თუ იმეორებ სხვის ნათქვამს,
სხვებისგან გაგიგონია?

—

—მე მასთან საქმე?! ვერც ვიცნობ
კარგათ, გიფიცავ ძმობასა,—
მაგრამ ყველანი აქებენ,
ვერ გაიგონებ გმობასა...

—

—ღმერთო! ასს მაინც კი ვკითხე —
და ყველა ასე იძახის!..
შენ ეს მითხარი: სარგები
რა გააკეთა მან ხალხის?

—

—მეც ვხედავ, ვიცი-ბევრი აქვს
სახლები, ადგილ-მამული,
თვით ცხოვრებს ფუფუნებითა,
ბანკშიც მრავალი აქვს ფული...

—

—მაგრამ ვერ ვხედავ, არ ვიცი —
რა გაუკეთა ქვეყანას,
რომ ყველა ასე აღმერთებთ,
მისთვის ეხვევით თქვენ დანას!.

—

—რა გააკეთა—არ ვიცი,
რას გააკეთებს – არც ისა...
ვიცი, რომ არ ვარ მნახველი
მისებრ შუქიანი კაცისა.

—

—საბუთი, ბეკო, საბუთი!..
მაგრამ ამაოთ დავშვრები...
ერთ რასმე გეტყვი, ძმობილო,
თუმც ვიცი—ძლიერ გაწყრები.

—

—გონებით ბრმასა, თვალსილეულს,
თავი მხედველი გგონია!
თვალით შვრეტ—შუქით კრავა
გაგიზომ—აგიწონია!

სილოვანი.

# ნ უ შ ო.

(მოთხრობა) *)

## V.

ჯაგუ კორსაია დასავლეთ საქართველოდან იყო. ცოტა ხანს სკოლაში ესწავლა, მერე გამოსულიყო სასწავლებლიდან, რადგან დედ-მამა რომ დახოცოდა, ნათესავებს გაეტანათ ყველაფერი, თუ ჰქონდათ რამე და ულუკმაპუროთ დაეტოვებიათ ყმაწვილი. ბევრი ეარნა აქათ იქით, ბევრი გაჭირება გამოევლო, ბევრ ხიფათს გადარჩენოდა და ბოლოს შეჰფარებიყო თბილისში ორბელიშვილის ოჯახს. ძალიან შეთვისებოდა ამ სახლს. თავის აზრიანობით და სიმკვირცხლით ბატონის ყურადღება დაემსახურებია, თავი შეეყვარებია. ათ წელიწადზე მეტი იყო, რაც ამ ოჯახს ემსახურებოდა. ამ ხნის განმავლობაში ჯაგუს ცოტაოდენი ფული შეეკროვებია, რადგან საზდო და ტანისამოსი ბატონისა ჰქონდა, თითონ კი არ ეწყობოდა არც სასმელს, არც თუთუნს, არც არაფერი სხვა უაზრო და ფულით საყიდი დროს გატარება უყვარდა. როგორც მოხერხებული კაცი, შეგროვილ ფულს ისე ინახავდა, რომ კიდეც ესარგებლა, არც დაკარგულიყო, არც დაბანდებულიყო სადმე. ამ ფულს იმ მიზნით აგროვებდა, რომ როგორმე თავი დაეხწია სხვის სამსახურისათვის, უნდოდა რამე საკუთარ საქმეს დადგომოდა, საკუთარ საქმეზე ეშრომა. ჯერ ფიქრობდა თავის სოფელში მამული შეეძინა, მაგრამ სოფლისაკენ გული აღარ მ სწევდა, ქალაქში ცხოვრებას შეჩვეოდა; მაინც ვეღარ შეიძლებდა სოფლურ მუშაობას, გადაჩვეული იყო. ბოლოს ვაჭრობის დაწყება განიზრახა. დასავლეთ საქართველოს შვილებს ხომ უყვართ და ეხერხებათ ვაჭრობა.

ჯაგუმ მუშტაიდისაკენ, მტკვრის მხარეს, აიღო იჯარით ბაღი. ეს ბაღი დიდრონი ხეებით იყო დაჩრდილული. საზოგადოთ ძალიან მდიდარი იყო მცე-

*) იხ. „კვალი“, № 14.

ნარეებით, რადგან მტკვრიდან გამოტანილი არხი უვლიდა მთელ ბაღს, და, ხომ მოგეხსენებათ, თბილისში თუ წყალი არ აკლია ადგილს, თესლი ქვაზედაც კი გაიღვიძებს. ბაღი შვენიერ საგრილობელ ადგილს წარმოადგენდა, მეტადრე წყლის პირას. ჯაგუ ჩადგა ბაღში; ისე მოაწყო „სალხინო", რომ დაქანცულ და სიცხისაგან დათენთილ ხალხს თავისუფლათ ამოსუნთქვა შეეძლებოდა. შუა ბაღში მოცლილი ადგილი იყო, აქ კოხტა ფანჩატური ჩადგა. ფარდულში, იმის გარშემო ხეივნებში, თაღებ ქვეშ სკამები და მაგიდეები დააწყო. მთელი ბაღი სხვა-და-სხვანაირი ყვავილები მოჰფინა და ააფერადა. მერე გამოაქვეყნა გაზეთების და ცალკე განცხადებების შემწეობით: ბაღში იყიდება ლუდი, სხვა-და-სხვა სასმელებიო, პურის ჭამაც შეიძლება — საუზმისა, სადილისა თუ ვახშმისაო. მიიწვია მემუსიკეები და ერთ საღამოს შვენიერათ განათებულ და დასუფთავებულ ბაღში სამხედრო მუსიკის გრიალი გაისმა.

ამისთანა საგრილობელი ადგილები ბევრი იყო ქალაქში და მუშტაიდსაც არ აკლდა. აქაც შეიხედეს და ძალიან ნასიამოვნები დარჩნენ: ლუდი თუ სხვა სასმელები უკეთესები გამოდგენ, თანაც ისე იაფათ ჰყიდდენ, რომ თითონ ქარხნების პატრონებთან თუ დალევდა კაცი იმ ფასათ და იმ თვისების სასმელს, თორემ სხვაგან ვერსად. სანოვაგეც უწუნო და იაფი იყო. მსახურები სულ ქართულათ იყვენ გამოწყობილი, ისე მკვირცხლათ ირჯებოდენ, ისე ზრდილობით და პატივისცემით ეპყრობოდენ მუშტარს, რომ კაცს ეგონებოდა, სადმე კარგ ოჯახში ვარ მიწვეულიო.

მსახურები იმით წაახალისა ჯაგუმ, რომ დიდი ჯამაგირები დაუნიშნა, — იმოდენა, რასაც სხვაგან ვერ აიღებდენ და ამას გარდა შემოსავლის ზდასთან ერთათ ყველას უმატებდა გასამრჯელოს. ეს იყო მიზეზი, რომ ამოდენა ხალხი, რომელიც უნდებოდა ვაჭრობას, ცდილობდა რაც შეიძლებოდა სინიდისიანათ და მარჯვეთ აესრულებია თავისი საქმე, რადგან ამაზე იყო დამოკიდებული ვაჭრობის გაძლიერება, ვაჭრობის აყვავებას კიდევ პირდაპირი სარგებლობა მოჰქონდა თითონ იმათთვისაც. თანაც ეშინოდათ ამისთანა კარგი ადგილის დაკარგვისა, რადგან მუშტართან დანაშაულისთვის და უსუფთაობისათვის ჯაგუ მაშინვე დაითხოვდა ხოლმე მსახურს, აღარაფერ ხვეწნას აღარ შეისმენდა.

მუშტარს აქ უთუოთ რამე გასართობი ჰქონდა: ან ჯამბაზი თამაშობდა ბაღში, ან რომელიმე ახალი დასტა უკრავდა საკრავებს, ან მომღერალი მღეროდა, ან ფალავნებს აჭიდავებდა, — ყოველთვის ამისთანა რასმე მოიგონებდა ხოლმე. ეს ძალიან იზიდავდა მუშტარს. სუფთა ხალხიც არ ერიდებოდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ არაფერ სიყალბეს არ გაბედავდენ იმასთან, არც რამე უზდელობას შეამთხვევდენ.

ვაჭრობა თავიდანვე ძალიან კარგათ წავიდა და ისე გაიდგა ფესვები, რომ რამდენიმე ამგვარი გასართობი და საგრილობელი ადგილები, რომლებიც ახლო-მახლო იყვენ დამართული, დაიკეტა უმუშტრობით. „სალხინომ" დაჯაბნა ისინი და მოუსპო არსებობა, როგორც უსპობს სიცოცხლეს ახლო ამოსულ სხვა მცენარეებს ამაყათ ასული წიფელი, რომლის ქვეშ ვერ ხეირობს სხვა თესლი, რადგან იმისი მძლავრი ფესვები მიდამოდან სინოყივრეს ვერვის ვერ დაანებებენ. ამ საქმის აღორძინების უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ჯაგუმ თავისი ვაჭრობა მუშტრის დაბრიყვებაზე, იმის მოტყუებაზე, გაცარცვაზე, იმის მასხარათ აგდებაზე კი არ დაამყარა, როგორც იქცეოდენ ყველა სხვა ვაჭრები, არამედ, ააშენა ეს აღებმიცემა მუშტრის პატივისცემაზე, თავის სარგებლობასთან იმის ინტერესების დაცვაზედაც; ის ცდილობდა მუშტარს, რაც შეიძლებოდა, პირიანათ მიელო საქონელი, თანაც საღათ და უკლებლათ. მართალია, თანხას ამისთანა აღებმიცემით ჯერზე დიდი სარგებელი არ შემოჰქონდა, მაგრამ რადგან ხშირათ ტრიალებდა ის, სარგებელი ზედიზედ შემოდიოდა და სწრაფათ იზდებოდა.

ასეთი პირიანი ვაჭრობა ახალი ხილი იყო, დიდი ნდობაც დაიმსახურა. ჯაგუს მუშტარი ისე არ უყურებდა, როგორც უყურებს ჩვენი ხალხი ვაჭარს საზოგადოთ, ე. ი. როგორც უპიროს და მცარცველს, როგორც ისეთს კაცს, რომელსაც მარტო გამოუცდელი თუ ენდობა, არამედ ისეთ კაცათ სახავდა, რომელიც შრომობდა მუშტრის ინტერესებისათვის და ამ შრომისათვის შესაფერ, მარტო შესაფერ, გასამრჯელოს იღებდა.

ამისთანა ნიადაგზე დაყენებულ ვაჭრობას გამჭრიახობას გარდა გაუწყვეტელი ყურადღება და შრომა უნდოდა პატრონის მხრივ; მართლაც, ყველა ამას ჯაგუ თავისი დაუცხრომელი მხნეობით და აზრიანი მოქმედებით ახერხებდა, თორემ თანხა პირველათ იმოდენა ძლივს ჰქონდა, რომ ბაღი მოეწყო და რამდენიმე დღის საკმაო სავაჭრო შეეძინა. ალიონზე, რომ ადგებოდა, ფეხს აღარ ჩაიდრეკდა, სანამ კარგათ არ გატყდებოდა ღამე, პურის საჭმელათაც კი ვეღარ იცლიდა.

ამ კაცის დაუცრომელი შრომით ვაჭრობის საქმე ყოველთვის გაჩარხული იყო და თანდათან უფრო იზიდავდა მუშტარს. ბოლოს ხომ მოდათაც გადაიქცა „სალხინოში" სიარული და იმდენი მუშტა-

რი მიაწყდა, რომ ტევა აღარ იყო. ფული სულ პარკებით შედიოდა პატრონისას და იქიდან ურიგდებოდა ყველას, ვისაც კი ერგებოდა. კაცს ხაზინა ეგონებოდა ჯაგუს ოთახი.

ამ დროს იყო ჯაგუს რომ გაიცნო რეზიკო, ყველას ნაცნობი რეზიკო, რომელიც ყოველთვის იქ იყო მაყარი, სადაც კვამლი იყო მაღალი, რომელიც თავის თავს „კნიაზ"-ს უწოდებდა, თუმცა აზნაურობის მეძიებელიც ვერ იყო, რომელიც ყოველთვის თავის მამულებზე ლაპარაკობდა, თუმცა ადლი მიწა არსად მოეძეოდა. რეზიკოს მოჰყვენ იმისი წრის ქალებიც, ის ქალები, რომლებიც ზნეობის და უზნეობის შუა დგანან,—მოგეხსენებათ, რა ვიწროა ეს ადგილი,—ირყევიან ხან აქეთ, ხან იქით იმის დაკვალათ, თუ საიდან უბერავს სიო. ისინი ქალაქის ყველა კუთხიდან იკრიბებოდენ. ამ ხალხს ზიანი არ მოჰქონდა „სალხინოსათვის": მათი ცხოვრების მიზანი ცუდაობა და ლხინი იყო და „სალხინო" კარგათ ითვისებდა იმათ.

გ. ბარნოვი.

(შემდეგი იქნება)

## საქველ-მოქმედო საქმე.

დეკანოზმა დავით ღამბაშიძემ გადმოგვცა 15 მანეთი ზემირ სიტუვაობის სასარგებლოთ შეკრებილი ქიზიყის ბოდბის კირილე ღვთისავაროვისაგან. სია შემომწირველთა: თითო მანათი: ბლაღ. კირ. ღვთისავაროვმა, დეკ. დიმ. ბეგიევმა, მღვ. ვას. ქიტიაშვილმა, მღვ. ეგ. მენთეშაშვილმა, ბოქაულმა ივ. ქიტიაშვილმა, მასწავ. ანტ. ნატროევმა, ეკ. ასათიანისამ, დიმ. ნადირაძემ, მალკა ჯავაშვილმა, პრაპორჩიკ ივ. გომელაუროვმა. ათი შაური: მასწ. სოლ. უშურაშვილმა, სიკ. მენთეშოვმა, ილ. მანთიაშვილმა, მელიქ ბამიხჯალოვმა, ბარ. ჭრელაშვილისამ. ორი აბაზი: ან. ნადირაძემ, თ. ალადოვმა, ილ. ბარნაბოვმა. ხუთი შაური: მიხ. მატიაშვილმა. ერთი აბაზი: იოს. ზალდასტანოვმა. ექვსი შაური: ვ. ალავერდაშვილმა. თერთმეტი შაური: სოლ. ტუსიშვილმა. სულ 15 მანათი.

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „კვალის" საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ ქვევით მოხსენებულ პირთ, რომელთაც შეწირეს ადმოუჩინეს პეტერბურგში მოსწავლე სამსონ ვაშაკმაძეს. 5 მ. კნ. იოს. დადიანმა და №№. 3 მ: ლორთქიფანიძემ, იობ. ხომეზურმა, და გრიგორიანცმა. 2 მ: გ. გასიანმა, იოს. გოგოძემ, დიმ. გვამუჩავამ. 1 მ. 60 კ: ივ. ჩიკვაიძემ. 1 მ: თ. კვაჭაძემ, პ. ჭუჭულაშვილმა, კოსტ. ქვლივიძემ, სილ. ჩიკვაიძემ, ილ. დიდებულიძემ, ივ. მასხულიამ, დ. ყორდანიამ, ივ. ანდღულაძემ, გიმ. წყავზარაძემ, ალექ. გეგეჭკორმა, თედ. აბშილავამ, მანტ. ჯანიშვილმა, ანდ. შაფათავამ, ილ. ჭიანიშვილმა, ექვ. ნასრიამ, ასალ. ჯანიშვილმა. რაჟ. ანთაძემ, ილ. ქარცივაძემ. 51 კაპ. ი. გეჯევანოვმა. 50 კ.: ზაქ. ცალქალამნიძემ, ივ. ხარაზოვმა, გ. ჯანიშვილმა, თ. ქავთარაძემ.

სულ 47 მ. 11 კ. რომელიც გავგზავნა დანიშნულებისამებრ.

ილარიონ თაყაიშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლისა.



# ქუთაისის მიხაილის თავად-აზნაურთ სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ, ამ ბანკის წესდების მე 24 § ძალით, 20 მაისს ამა 1896 წელს საზოგადო ვაჭრობით გასყიდულ იქმნებიან ქალაქ ქუთაისში ამავე ბანკის სადგურში ხსენებულ ბანკში დაგირავებულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, შესახვედრ გარდასახადთა შემოუტანლობის გამო.

$18^{7}/_{12}$ და $19^{11}/_{12}$ წლიანნი სესხნი.

ქ. ქუთაისს.

ცქიტიშვილისა ფილიპე ზაალის ძის: მესხეთის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ხის სახლი და მიწა 118 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 42 მან. 53 კაპ. შეს. გარ. 28 მან. 80 კაპ., სულ 71 მან. 33 კ.

თავდგირიშვილისა მამაჯან და მიხაილ ედოს ძეთა: ბაზრის ქუჩაზე ერთ სართულიანი ქვითკირის დუქანი და მიწა 5,55 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 921 მან. 16 კაპ. შეს. გარ. 81 მან. 78 კაპ., სულ 1002 მან. 94 კაპ.

მეგრელიშვილისა იოსებ ისხაკის ძის: ბალის ქუჩის შესახვევში ორ-სართულიანი სახლი და მიწა 114 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1406 მან. 55 კაპ. შეს. გარ. 133 მან. 18 კაპ., სულ 1539 მან. 73 კაპ.

გაბაევისა ბესარიონ ალექსის ძის: ორპირის ქუჩაზე ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქნები და მიწა 65 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1939 მან. 25 კაპ. შეს. გარ. 105 მან. 90 კაპ., სულ 2045 მან. 15 კაპ.

$43^{1}/_{2}$ და $48^{2}/_{3}$ წლიანი სესხნი.

ქუთაისის გუბერნიის და მისივე მაზრისა.

აკალიანისა ლუკა და იესე სიმონის ძეთა: გუმა-

თის აგარს სახნავ-სათესი, ზვარი და ტყე 26 დეს. 500 ოთხ-კუთხი საჟ. თაენი ვალი 673 მან. 68 კაპ. შეს. გარ. 62 მან. 70 კაპ., სულ 736 მან 38 კ.

ქორქაშვილისა ლუკა დავითის ძის, გარდასული ნატალია ელიზბარის ასულის აგიაშვილზე: სოფ. ტყვირის ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 114 დეს. 1931 ოთხ-კუთხი საჟ. თაენი ვალი 12732 მან. 73 კაპ. შეს. გარ. 774 მან. 56 კაპ., სულ 1350 მან. 29 კაპ.

კიკნაძისა ივანე ზურაბის ძის: სოფ. დიმს სახნავ-სათესი და ტყე 15 დეს. 2040 ოთხ-კუთხი საჟ. თაენი ვალი 848 მან. 84 კაპ. შეს. გარ. 78 მან. 47 კაპ., სულ 927 მან. 31 კაპ.

გამყრელიძისა ლევან გიორგის ძის: სოფ. ობჩას ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 11 დეს. 1464 ოთხ-კუთხი საჟ. თაენი ვალი 776 მან. 6 კაპ. შეს. გარ. 66 მან. 87 კაპ., სულ 842 მან. 93 კაპ.

ერისთვისა გიორგი დავითის ძის: სოფ. სადომინაოს და ნოლას სახნავ-სათესი, ზვარი და ტყე 31 დეს. 1312 ოთხ-კუთხი საჟ. თაენი ვალი 2625 მან. 6 კაპ. შეს. გარ. 208 მან. 20 კაპ.; სულ 2833 მან. 26 კ.

მიქელაძისა მელქისედეკ დიმიტრის ძის: სოფ. კულაშს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი 12 დეს. 1860 ოთხ-კუთხი საჟ. თაენი ვალი 2231 მან. 65 კაპ. შეს. გარ. 119 მან. 96 კაპ, სულ 2351 მან. 61 კაპ.

მისივე: სოფ. ქკიშურს სახნავ-სათესი 26 დეს. 355 ოთხ-კუთხი საჟ. თაენი ვალი 4463 მან. 87 კაპ შეს. გარ. 307 მან. 21 კაპ., სულ 4771 მან. 8 კაპ.

მიქელაძისა ადმირალ ივანეს ძის: სოფ. კულაშს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი 12 დეს. 90 ოთხ-კუთხი საჟ. თაენი ვალი 2678 მან. შეს. გარ. 195 მან. 82 კაპ., სულ 2873 მან. 82 კაპ.

მიქელაძისა ნესტორ და ვარლამ გიორგის ძეთა: სოფ. ქყვიშურს სახნავ-სათესი 32 დეს. 1010 ოთხ-კუთხი საჟ. თაენი ვალი 6695 მან. 5 კაპ. შეს. გარ. 470 მან. 30 კაპ. სულ 7165 მან. 35 კაპ.

ავალიანისა გრიგოლ თომას ძის: გუმათის აგარს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 20 დეს. 1693 ოთხ-კუთხი საჟ. თაენი ვალი 1077 მან. 90 კაპ. შეს. გარ. 83 მან. 83 კაპ., სულ 1161 მან, 73 კ.

ავალიანისა ლუკა სიმონის ძის: ოფურჩხეთის აგარს ეზო, ზვარი, სახნავ სათესი და ტყე 21 დეს. 225 ოთხ-კუთხი საჟ. თაენი ვალი 932 მან. 87 კაპ. შეს. გარ. 71 მან. 3 კაპ., სულ 1003 მან. 90 კ.

ბოჭორიშვილისა ილარიონ გიორგის ძის და ანტონ დავითის ძის: სოფ. ამაღლებას ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 6 დეს. 1800 ოთხ-კუთხი საჟ. თაენი ვალი 466 მან. 39 კაპ. შეს. გარ. 48 მან. 76 კაპ., სულ 515 მან. 15 კ.

ერისთვისა ვახუ დავითის ძის: სოფ. სადომინაოს ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 16 დეს. 1450 ოთხ კუხი საჟ. თაენი ვალი 1249 მან. 23 კაპ. შეს. გარ. 88 მან. 20 კაპ., სულ 1337 მან. 43 კაპ.

იაშვილისა არისტო ივანეს ძის: სოფ. გეგუთს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი 4 დეს. 140 ოთხ-კუთხი საჟ. თაენი ვალი 677 მან. 58 კაპ. შეს. გარ. 60 მან. 48 კაპ., სულ 738 მან. 6 კაპ.

ლორთქიფანიძისა ტარიელ სიკოს ძის: სოფელ კულაშს ეზო 3 დეს. თაენი ვალი 585 მან. 5 კაპ. შეს. გარ. 50 მან. 47 კაპ., სულ 635 მან. 52 კაპ.

კიკვაძისა სიდუან და ფილადასი გიორგის ძეთა: სოფ. ოფჩას ზვარი და ტყე 8 დეს. 1905 ოთხ-კუთხი საჟ. თაენი ვალი 978 მან. 18 კაპ. შეს. გარ. 65 მან. 48 კაპ., სულ 1043 მან. 66 კაპ.

ნიჟარაძისა დავით ოტიას ძის: სოფ. ოფიშქვითს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე 47 დეს. 1500 ოთხ-კუთხი საჟ. თაენი ვალი 3912 მან. 63 კაპ. შეს. გარ. 262 მან. 62 კაპ., სულ 4175 მან. 25 კაპ.

ნიჟარაძისა ალექსანდრე ოტიას ძის: სოფ. ოფიშქვითს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 22 დეს. 692 ოთხ-კუთხი საჟ. თაენი ვალი 1662 მან. 68 კაპ. შეს. გარ. 114 მან. 13 კაპ., სულ 1777 მან. 1 კ.

ავალიანისა იესე სიმონის ძის: ქონეთის აგარს სახნავ-სათესი, ზვარი და ტყე 22 დეს. 1960 ოთხ-კუთხი საჟ. თაენი ვალი 1177 მან. 35 კაპ. შეს. გარ. 72 მან. 69 კაპ., სულ 1250 მან. 4 კაპ.

მიქელაძისა ადმილარ ივანეს ძის: სოფ. კულაშს სახნავ-სათესი 10 დეს. 300 ოთხ-კუთხი საჟ. თაენი ვალი 1766 მან. 4 კაპპ შეს. გარ. 120 მან. 4 კაპ., სულ 1886 მან. 8 კაპ.

კიკნაძისა სოლომონ (იგივე გიორგი.) ზურაბის

ძის სოფ. ღიმს ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 13 დეს. 2020 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 2664 მან. 52 კაპ. შეს. გარ. 162 მან. 42 კაპ., სულ 2826 მან. 94 კაპ.

მისივე და ივანე ზურაბის ძის: სოფ. ღიმს ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 14 დეს. 730 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 2763 მან. 21 კაპ. შეს. გარ. 167 მან. 50 კაპ., სულ 2930 მან. 71 კ.

ჩიხლაძისა თეიმურაზ ამირანის ძის: სოფ. სადომინაოს ეზო, ზვარი და ტყე 2 დეს. 158 ოთხ კუთხი საჟ. თავნი ვალი 296 მან. 5 კაპ. შეს. გარ. 32 მან. 44 კაპ., სულ 328 მან. 49 კაპ.

ჩიჯავაძისა ვლადიმირ მანუჩარის ძის: სოფ. ამალლებას ეზო, სახნავ-სათესი და ტყე 15 დეს. 354 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1979 მან. 24 კაპ. შეს. გარ. 72 მან. 15 კაპ., სულ 2051 მან. 39 კ.

## შორაპნის მაზრისა.

ლეჟავასი ვახტანგ იესეს ძის: სოფ. კვალითს და ცხრაწყაროს ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 24 დეს. თავნი ვალი 1669 მან. 36 კაპ. შეს. გარ. 137 მან. 76 კაპ., სულ 1807 მან. 12 კაპ.

წყეიძისა დავით ბერის ძის: სოფ. ფუთს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 6 დეს. 1800 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 384 მან. 38 კაპ. შეს. გარ. 39 მან. 99 კაპ., სულ 424. მან 37 კაპ.

წულუკიძისა დავით და კონსტანტინე ანტონის ძეთა: სოფ. საზანოს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 13 დეს. 1418 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 2613 მან. 54 კაპ. შეს. გარ. 136 მან. 30 კაპ., სულ 2749 მან. 84 კაპ.

მაჭავარიანისა ბიჭია ბეჟანის ძის: სოფ. იდეშს და ბორს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 8 დეს. 300 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1177 მან. 36 კაპ. შეს. გარ. 72 მან. 69 კაპ., სულ 1250 მან. 5 კაპ.

ცქიტიშვილისა რაჟდენ ბესოს ძის: სოფ. ლაშეს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 10 დეს. 405 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 981 მან. 14 კაპ. შეს. გარ. 61 მან. 97 კაპ., სულ 1043 მან. 11 კ.

ლეჟავასი სპირიდონ გიორგის ძის: სოფ. ცხრაწყაროს და კვალითს სახნავ-სათესი 51 დეს. 719 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 9446 მან. 70 კაპ. შეს. გარ, 801 მან. 8 კაპ., სულ 10247 მან. 78 კაპ.

თავზაროვისა კონსტანტინე იოსების ძის: სოფ. თეთრასწყაროს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 30 დეს, 560 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 3947 მან. 44 კაპ. შეს. გარ. 248 მან. 46 კაპ., სულ 4195 მან. 90 კ.

მაჭავარიანისა დიმიტრი ბეჟანის ძის: სოფ. ხონს, წყალაფორეთს და ალავერდს სახნავ-სათესი, ზვარი და ტყე 32 დესტ. 1536 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 5541 მან. 87 კაპ. შეს. გარ. 208 მან. 2 კაპ., სულ 5749 მან. 89 კაპ.

## რაჭის მაზრისა.

იაშვილისა ტიმოთე როსტომის ძის: სოფ. წოდას და სომიწოს ზვარი, სახნავ-სათესი და სათიბი 8 დეს. 160 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1293 მან. 86 კაპ. შეს. გარ. 85 მან. 5 კაპ., სულ 1378 მან. 91 კაპ.

რაზმაძეთა გიგო ივანეს ძის და ბეჟან ნიკოლოზის ძის: სოფ. წმენდაურს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი 6 დეს. 1870 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 847 მან. 31 კაპ. შეს. გარ. 43 მან. 47 კაპ., სულ 890 მან. 78 კაპ.

## სენაკის მაზრისა.

მიქაძისა ნესტორ გიგოს ძის, კვანტალიანისა ბათუ მიხაილის ძის და გერგაიასი პეტრე ტუიას ძის: სოფ. ჭალადიდს სახნავ-სათესი, საბალახე და ტყე 750 დეს. თავნი ვალი 12732 მან. 67 კაპ. შეს. 1172 მან. 58 კაპ., სულ 13905 მან. 25 კაპ.

თოფურიძისა ჯაგუ და ნესტორ ეგნატეს ძეთა: სოფ. ზანათს სახნავ-სათესი 11 დეს. 1680 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 1347 მან. 32 კაპ. შეს. გარ. 93 მან. 1 კაპ., სულ 1440 მან. 33 კაპ.

მიქელაძისა მელიტონ გლახუას ძის: სოფ. ციდორს სახნავ-სათესი 158 დეს. 120 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 28243 მან. 94 კაპ. შეს. გარ. 1254 მან. 75 კაპ., სულ 29498 მან. 69 კაპ.

ავალიანისა ლუკა მერაბის ძის: სოფ. ბოგაშს ეზო და სახნავ-სათესი 22 დეს. 1590 ოთხ-კუთხი საჟ. თავნი ვალი 2364 მან. შეს. გარ. 145 მან. 17 კაპ,, სულ 2509 მან, 17 კაპ.

ავალიანისა ელენე დიმიტრის ასულის: სოფ. ბოგაშს ზვარი და სახნავ-სათესი 11 დეს. 60 ოთხ-კუთხი საჟ თაენი ვალი 1702 მან. 7 კაპ. შეს. გარ. 118 მან. 37 კაპ., სულ 1820 მან. 44 კაპ.

ბერიძისა მემკვიდრეთა ივანე პეტრეს ძის: სოფ. შხეფს ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი 9 დეს. 450 ოთხ-კუთხი საჟ. თაენი ვალი 667 მან. 44 კაპ. შეს. გარ. 33 მან. 38 კაპ., სულ 700 მან. 82 კ.

მიქელაძისა მელიტონ გლახუას ძის: სოფ. ციდორს ეზო და სახნავ-სათესი 41 დეს. 600 ოთხ-კუთხი საჟ. თაენი ვალი 6751 მან. 65 კაპ. შეს. გარ. 481 მან. 46 კაპ., სულ 7233 მან. 11 კ.

მიქელაძეებთა ვლადიმირ და ნინა მიხაილის ძეთა და ჩხეიძისა ალექსანდრა მიხაილის ასულის: სოფ. ციდორს სახნავ-სათესი 138 დეს, 820 ოთხ-კუთხი საჟ. თაენი ვალი 22427 მან. 61 კაპ. შეს. გარ. 1330 მან. 6 კაპ., სულ 23757 მან. 67 კაპ.

კორძაიასი კარპეზ სიმონის ძის: სოფ. საჭილაოს ეზო და სახნავ-სათესი 9 დეს. 620 ოთხ-კუთხი საჟ. თაენი ვალი 978 მან. 18 კაპ. შეს. გარ. 65 მან. 48 კაპ., სულ 1043 მან. 66 კაპ.

ავალიანისა ლუკა მერაბის ძის: სოფ. საჭილაოს სახნავ-სათესი 4 დეს. 300 ოთხ-კუთხი საჟ. თაენი ვალი 392 მან. 46 კაპ. შეს. გარ. 35 მან. 38 კაპ., სულ 427 მან. 84 კ.

გაბუნიასი ნეოდინა დიმიტრის ასულის: სოფ. ბოგაშს სახნავ-სათესი 6 დეს. 450 ოთხ-კუთხი საჟ. თაენი ვალი 588 მან. 68 კაპ. შეს. გარ. 50 მან. 47 კაპ., სულ 639 მან. 15 კაპ.

მიქელაძისა ვლადიმირ და ნინა მიხაილის ძეთა და ჩხეიძისა ალექსანდრა მიხაილის ასულის: სოფ. ციდორს ეზო, ზვარი, სახნავ-სათესი და ტყე 57 დეს. 840 ოთხ-კუთხი საჟ. თაენი ვალი 5953 მან. 87 კაპ. შეს. გირ. 333 მან. 60 კაპ., სულ 6287 მან. 47 კაპ.

კორძაიასი გიგო გლახუას ძის: სოფ. ილორს პირველს ეზო, სახნავ-სათესი და ზვარი 7 დეს. 1200 ოთხ-კუთხი საჟ. თაენი ვალი 994 მან. 94 კაპ. შეს. გარ. 42 მან. 8 კაპ., სულ 1037 მან. 2 კაპ.

## ოზურგეთის მაზრისა.

თავდგირიძისა მემკვიდრეთა როსტომ ბექანის ძის: სოფ. აკეთს ეზო, სახნავ-სათესი და ტყე 64 დეს. 420 ოთხ-კუთხი საჟ თაენი ვალი 2624 მან. 17 კაპ. შეს. გარ. 194 მან. 41 კაპ., სულ 2818 მან. 58 კ.

კვაჭანტირაძისა კონსტანტინე იესეს ძის: სოფ. ოზურგეთს სახნავ-სათესი 4 დეს. 2100 ოთხ-კუთხი საჟ. თაენი ვალი 287 მან. 19 კაპ. შეს. გარ. 31 მან. 73 კაპ., სულ 318 მან. 92 კაპ.

მაჭუტაძისა ალექსანდრე გიორგის ძის: ნიგოითის აგარს სახნავ-სათესი 102 დეს. თაენი ვალი 8020 მან. 89 კაპ. შეს. გარ. 453 მან. 92 კაპ., სულ 8474 მან. 81 კაპ.

მაჭუტაძისა ალექსანდრე გიორგის ძის: სოფ. ნიგოითის აგარს სახნავ-სათესი და ტყე 208 დეს. თაენი ვალი 9811 მან. 30 კაპ. შეს. გარ. 538 მან. 75 კაპ., სულ 10.350 მან. 5 კ.

მისივე: ნიგოითის აგარს სახნავ-სათესი 107 დეს. 310 ოთხ-კუთხი საჟ. თაენი ვალი 7796 მან. 9 კაპ. შეს. გარ. 433 მან. 75 კაპ., სულ 8229 მან. 84 კაპ.

მოკლე ვადიანნი სესხნი.

## ქ. ქუთაისს.

გამყრელიძისა ნინა ლევანის ასულის: ბალახვანის ქუჩის შესახვევში სამოსახლო ადგილი 731 ოთხ-კუხი საჟ. თაენი ვალი 800 მან. შეს. გარ. 53 მან. 22 კაპ., სულ 853 მან, 22 კ.

## ქუთაისის მაზრისა.

სოფ. ტყაჩირს.

მემკვიდრეთა ჯგამაშვილისა კონსტანტინე ბეჟნის ძის: ეზო, ზვარი და სახნავ-სათესი 23 დეს. 760 ოთხ-კუთხი საჟ. თაენი ვალი 2000 მან. შეს. გარ. 195 მან. 50 კაპ., სულ 2195 მან. 50 კაპ.

Доз. ценз. Тифлисъ, 17 Апрѣля 1896 г. — Тип. М. Д. Ротиніанца სტამბა, მ. დ. როტინიანცისა Гол. пр., № 41